

ძილის დეპრივაციისა და აქტიური განრიდების ამოცანის ზოგიერთი
პარამეტრის ცვლილების გავლენა იმპლიციტური მეხსიერების
ფორმირებაზე ვირთაგვებში

თინათინ ჩარექიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტზე
ნეირომეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა
მიმართულება: ნეირომეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ონიანი, სრული პროფესორი, ბმად

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ ჩარექიშვილი

12 ივლისი 2019

აბსტრაქტი

ადაპტური შიშის მთავარი მახასიათებელია სახიფათო სტიმულებისა თუ სიტუაციებისგან განრიდება. აქტიური განრიდების დასწავლა წარმოადგენს თავდაცვით ქცევას, რომელიც საშუალებას იძლევა თავიდან აცილებული იქნას ავერსიული სტიმული ექსპერიმენტულ პირობებში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რა როლს ასრულებს არასრულად დასწავლილი აქტიური განრიდების ამოცანაში შეუღლებებს შორის ინტერვალის გაზრდა და ძილის დეპრივაცია იმპლიციტური მეხსიერების პროცესინგზე.

კვლევა ჩატარდა ზრდასრულ, თეთრ, უჯიშო, ორივე სქესის ვირთაგვებზე. მეხსიერების ხარისხის შესასწავლად ვიყენებდით ორმხრივი აქტიური განრიდების ამოცანას. ძილის ტოტალური დეპრივაციისათვის გამოყენებული იყო „ნაზი“ შეხების მეთოდი.

მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ შეუღლებებს შორის ინტერვალის 10 წთ-ით გაზრდა აფერხებს აქტიური განრიდების ამოცანის დასწავლას. ამ ტესტში ძილის ტოტალურმა დეპრივაციამ დადებითი შედეგი გამოიღო აქტიური განრიდების დასწავლაზე და გაუტოლდა შეუღლებებს შორის 1 წთ-იანი ინტერვალით ჩატარებული ცდების შედეგებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აქტიური განრიდება, მეხსიერების კონსოლიდაცია, ძილის ტოტალური დეპრივაცია.

Abstract

The main characteristic of adaptive fear is to avoid aversive stimuli or situations. Active avoidance learning is a experimental defensive behavior that prevents aversive stimuli.

The aim of the present study was to determine the role of increased interval between trials and as well sleep deprivation on implicit memory processing in an incompletely learned avoidance task.

The testing subjects were inbred albino, adult, laboratory rats both male and female. To study the quality of memory we used two-way active avoidance task. For total sleep deprivation was used “gentle handling” method.

The obtained data revealed that the increase of 10 minute interval between trials disrupts the process of active avoidance learning. Total sleep deprivation in this task resulted in a positive outcome on active avoidance learning and became equivalent to 1 minute interval task results.

Key words: active avoidance, memory consolidation, total sleep deprivation.